№ 75

კვირა, 20 აპრილი 1897 წ.

**ფასი გაზეთისა:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1897

# ივერია

№ 75

კვირა, 20 აპრილი 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სამკერვალო სკოლა ქალთა ამხანაგობისა

მიიღებს შესაკერად კაბებს, წამოსასხამებს და სხვა მორთულობის შეკვეთას.

ვერა, გაბაევის ვიწრო ქუჩა, № 3.

(3—1)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ ყოველ დღე შეუძლიანთ მიიღონ ქალაქის კანცელარიაში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს ამა წლის 8 აპრილის დადგენილებისა თანახმად შესწორებული, საბოლოო ნუსხა ამომრჩეველთა, რომლითაც ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნები უნდა ამოირჩიონ 1897—1901 წლისათვის. (3—3)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო** 11—12 საათ. სნეულება დედ:ნ დათა სქესისა და ბავშვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

**ი. ф. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულ მკერდისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი.** 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $6^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.** (წ)

ტფილისი, 19 აპრილი.

ჩვენ ამას წინად მეთაურს წერილში *) ვთქვით, რომ სომეხი შვილისათვის თავდადებულია და ცდილობს იმის სწავლა-ცოდნას, შვილიც მცდელი და ბეჯითი ჰყავს. ქართველი-კი იმდენად არა ჰზრუნავს შვილისათვის, შვილიც თავ-დაუდებელია და არა ბეჯითობს. ყოველივე ეს მივაწერეთ სომხის ოჯახის წეს-რიგობას და ქართველის ოჯახურ ურიგობას, უწესობას. რა გამოდის ან სომხის ამისთანა სიკეთისაგან, ან ქართველის ამისთანა ბოროტისაგან? აი საკითხი, რომლის განსჯა და გამორკვევა დღეს საგნად აგვიღია.

როცა გვეუბნებიან, სომხებს ქართველებზე უფრო მეტი ინჟენერები ჰყავთ, უფრო მეტი მკურნალები და ადვოკატებიო, პასუხი ჩვენის საკითხისა აქ უნდა ვეძიოთ, ნასკვი აქედამ უნდა გამოვხსნათ. აშკარაა, ნაყოფი სომხის სიკეთისა ამ ინჟენერების, მკურნალების და ადვოკატების მეტობაშია. მერე რა გამოდის აქედამ? ნუთუ კაცური-კაცობა, განათლება და ერთობ ადამიანობა მარტო ამ სამს ხელობაშია და სხვაში არსად? ამისთანა უმეცრებას ვერ შევწამებთ „კულტურის“ თავ-მოწონებულ მოძღვრებს კავკასიაში, ნამეტნავად დღეს, როცა გრძნობა საკუთარის ეროვნების ღირსებისა იმოდენად გაუსიებიათ, გაუზვიადებიათ, რომ ჩვენზე ან კარგი სთქვით, ან სულ ნურას იტყვითო. დრონი „მეფობენო, ნათქვამია. ჩვენ მარტო ის გვიკვირს,—ეს რა დრო გაგვიმეფდა ასე ძლევა-მოსილად, რომ სხვას-კი ქმნაც შეეძლოს და ჩვენ ქართველებს-კი თქმაც არა.

ასეა თუ ისე, უფროს ერთი სომხის საოჯახო სიკეთეს სჩანს მარტო ის ნაყოფი გამოუღია, რომ ბევრი ინჟენერები, მკურნალები და ადვოკატები ჰყოლიათ. ინჟენერობასა, მკურნალობასა და ადვოკატობაში რომ მეტი სომეხი იყოს საკვირველიც არ არის: ყველა ეს სამი ხელობა ერთად და თვითვეული ცალკე ფულის საშოვი ხელობაა და ადვილად მისახვედრია აქ სომხები სხვაზე მეტნი რად არიან. ისიც ადვილად ასახსნელია, რომ თავ-მოსაწონებლად მარტო ამისთანა თავისუფალ ხელობის კაცებს გვიგდებენ ანგარიშში, თითქო სათვალავში სხვა არავინ ჩასაგდები არ არის და თავ-მოსაწონებელი ადამიანობა მარტო ინჟენერობასა, მკურნალობასა და ადვოკატობაში იყოს. რაკი ესეა, ჩვენც საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბევრი წილი სომეხი სწავლა-ცოდნაშიაც მარტო იმას ეძიებს, რაც მისს განსაკუთრებულს ძარღვს ცხოვრებისას შეადგენს და რითაც—არავისათვის დაფარული არ არის—უფროს-ერთი სომეხი ყველასაგან ცნობილია და გათქმული. რაკი მარტო ამ სამის ხელობით მოაქვთ თავი და უპირატესობას ამით ჰჩემულობენ, სჩანს სწავლა-ცოდნასაც მარტო აღებ-მიცემობის თვალით უყურებენ, აღებ-მიცემობის სახსრად ჰხადიან, მარტო მაგ ნაირ ცოდნისათვის ბეჯითობენ თვით და აბეჯითებენ შვილსა და ამას იქით აღარ მიდიან.

შესცდათ თუ არა, რომ მარტო ამისთანა ხელობის კაცებით თავს იწონებენ აქაური სომეხთ რუსული გაზეთები, ეგ არ ვიცით. ხოლო შეცდომაც-კი აქ საგულისხმიეროა, როგორც უნებლიეთი გამომეტყველი გულის-ნადებისა. სხვა გვარ სწავლა-ცოდნისათვისაც რომ გული უთქმიდეთ, სხვა გვარი სწავლა-ცოდნაც თავმოსაწონებელად, სასიქადულოდ და სანატრელად მიაჩნდეთ, სხვა ჯურის მცოდნედაც ჩამოგვითვლიდნენ. სჩანს, ან სხვა გვარი სწავლა-ცოდნა არაფრის მაქნისად მიაჩნიათ, ან ამისთანაებში ცოტაოდნად ფეხ-მოკლენი არიან, თორემ აქამდე კვეხნით გაგვათავებდნენ.

ნურავინ გვიწყენს და თუნდა გვიწყინონ კიდეც, დიდი არაფერია,—და ჩვენ-კი ვიტყვით, რომ თუმცა მაგ სამგვარ ხელობაშიაც არიან ბევრი პატიოსანი და რიგიანი კაცები, მაგრამ თუ, მაგალითებრ, სადმე თავზე ხელაღებული კაცია და ცხოვრების საგნად მარტო ხვეჭა ფულისა გაუხდია, ის—ქართველი იქნება თუ სომეხი—ისე ადვილად, უტკივარად, უხნავ-უთესველად არაფრით მოჰხვეჭს ფულსა, როგორც ინჟენერობითა, მკურნალობითა და ადვოკატობითა. ისე უშიშრად, პასუხ-უგებლად ყინულზე ვერავინ გააცურებს ადამიანს, როგორც ინჟენერი, მკურნალი და ადვოკატი,—რა მილეთისაც გინდ იყოს,—თუ კი ნამუსს დააძინებს მკვდრისა ძილითა და თავისის ცხოვრების ანდერძად ამას დაიდებს: „ოფლითა მოყვასისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“.

მართალია, ინჟენერობა, მკურნალობა, ადვოკატობა ცოდნას მოასწავებს, მაგრამ ბევრს არას გვეუბნება იმ ადამიანურ ძალ-ღონისას, რომელსაც განათლება ჰქვიან და ურომლისოდ ყოველივე ცოდნა ქვეყნისათვის ბევრი არაფერია. ცოდნა ცოდვა-მადლიანი საქმეა, ორ-პირი მახვილია. ჯოჯოხეთის მანქანის მომგონიც მცოდნე კაცი იყო. მარტო ზნე-წამხდარს მცოდნეს შეუძლიან დინამიტი, კაცთა საშველად აღმოჩენილი, კაცთა საჟლეტად მოიხმაროს. რის უნარია, რომ ღვინო,—ეს კაცთა მარგებელი სასმელი თუ ზომიერად ხმარებულია,—თითქმის საწამლავად გადაექცა ქვეყანას და ზოგიერთი ხორაგი შხამად სხვა-და-სხვა ქიმიურ შეზავებით, თუ ჭარ ფულის სახვეჭავად მიმართულ ცოდნისა?.. ყალბის ფულის კეთება—ქაღალდისა, თუ ოქრო-ვერცხლისა—მარტო მცოდნე კაცს შეუძლიან. ბევრი ქიმიკოსი ყოფილა ქვეყანაზე, რომ თავისი სწავლა-ცოდნა საწამლავების კეთებაში დაულევია ფულის ხვეჭის სიხარბითა. განა სისხლის სამართალი ევროპისა ცოტა მაგალითებს გვიჩვენებს, რომ მცოდნე მკურნალს განგებ გაუსტუმრებია ჰკვათა ყოფილი საგიჟეთში, ან სნეული საიქიოს, რადგანაც მემკვიდრეთაგან დახარბებული ყოფილა ფულითა. რამდენი რამ ჩამოვთვალოთ იმის დასამტკიცებლად, რომ ცოდნას დიდ მადლთან დიდი ცოდვაც შეუძლიან, ოღონდ კაცმა ნამუსზე ხელი აიღოს.

ცოდნა რომ ბოროტადაც გამოსაყენებელი არ იყოს, ჩვენა გვგონია, კარგა დიდი წილი ავკაცობისა აღარააშფოთებდა მშვიდობას ქვეყნისას და კაცთა ცხოვრებისას.

ხარბი და სახვეჭი ცოდნა ხარბს და სახვეჭ ფულზე უფრო უწყალოა, უფრო დაუნდობელი, უფრო მოსარიდებელი, იმიტომ-რომ სავნებელად უფრო გაწურთნულია, უფრო ძლიერი და ხერხიანი. ცოდნა არა ნაკლებ ხარბს ფულზე თავისს ღალას იღებს ქვეყნისაგან, თავისს ბეგარას ახდევინებს, თუ წინ არ უძღვის განათლებული გული, რომელიც მარტოა შემძლებელი ცოდნა მადლად აქციოს. ეხლა ქვეყნის უბედურებას მარტო ხარბ ფულის ძალ-მომრეობას აბრალებენ, ფული ყველგან მარტო თავისის თავისაკენ ითლისო და მოჰკირნახულეს მარტო იმდენს უწილადებს, რომ შიმშილით არ მოკვდეს, სიცოცხლის ილაჯი ჰქონდესო. დრო მოვა და ყოვლად შემძლებელ ცოდნასაც ამ თვალით შეხედვენ, როცა საეკონომიო მოედანზე მარტო ფულის სახვეჭავად ფეხს მოიკიდებს დღევანდელ ფულისამებრ, და ამასთან თუ „ჰუმანობა“, კაცთ-მოყვარეობა, ადამიანობა მართლა სულელობად გადაექცევა კაცობრიობას, როგორც აქაური მოძღვრები „კულტურისა“ გვიქადიან თავ-მოწონებით.

ჩვენ ყოველ ამითი იმისი თქმა-კი არ გვინდა, რომ ცოდნა მეტი ბარგი იყოს ვისთვისმე და ამიტომ ქვას ვესროდეთ. მთელი დიდება კაცობრიობისა ცოდნის საქმეა, მთელი იგი სიკეთე, რომლითაც სამართლიანად თავი მოსწონს კაცობრიობას ნაღვაწევია ცოდნისა, იმ ცოდნისა, რომელიც ადამიანსა ჰშველის მთელი უტყვი ბუნება თვისდა საბედნიეროდ დაიმორჩილოს და იმსახუროს ხორცისათვის და იძიოს და გამოსახოს სხივოსანი სახე ჭეშმარიტებისა, მშვენიერებისა და სათნოებისა სულისათვის, ესე იგი, სრულ ჰქმნას ადამიანი სულითა და ხორცითა. აი იდეალი განათლებულ ცოდნისა და მთელის ეგრედ წოდებულ პროგრესისა.

ყოველივე ის სიკეთე და სიდიადე ცოდნისა გვწამს და ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ გულ-გაუნათლებელი, მარტო სახვეჭავად მიმართული ცოდნა უფრო მოსარიდებელია, ვიდრე სანატრელი, თუ თავში გაიწია, პირიდამ ლაგამი ნამუსისა წამოიყარა და განათლებულმა გულმა სადავე არ აუკრიბა. ცოდნა დაუფასებელი მადლია მხოლოდ მართლა განათლებულ კაცის ხელში. მართალია, განათლება უცოდნელად ძნელად საგულვებელია, მაგრამ მარტო ცოდნა განათლება არ არის. ცოდნა მარტო ჭკუა-გონების თვალის ახილებაა და განათლება-კი მასთან ერთად გულისაც, რომელიც სათნოების სადგურია. ცოდნა თუ ცხოვრების გზას გვინათებს, სათნოება გვითბობს. განათლება ჰგავს მზესა, რომელიც ისე არ ანათებს, რომ იმავე დროს არ ათბოს და ისე არ ათბობს, რომ არ ანათოს.

აბა ამ საწყაოთი მივიწყოთ აქაური ინჟენერობა, მკურნალობა და ადვოკატობა—ქართველისა იქნება თუ სომხებისა—და მაშინ გამოჩნდება რა დიდი ხვავი დადგება. ეს შემდეგისათვის იყოს.

*) იხ. „ივერია“ № 67.

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ: 13 აპრილს, კავკასიაში უფროსს აგრონომს ვლადიმირ სტაროსელსკის—ორდენი წმ. ანნასი მესამე ხარისხისა.

სტავროპოლისა და თერგის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მიწის მზომავის თანამდებობის აღმასრულებელს ზაქარია სამადაშვილს და ბაქოს გუბერნიისა და დაღესტნის ოლქის სახელმწიფო ქონებათა მმართველებს საგანგებო საქმეთა მოხელეს თავადს ლევან ვაჩნაძეს—ორდენი წმ. სტანისლავისა მესამე ხარისხისა.

დათხოვნილ იქმნა: სამსახურიდგან თავისის თხოვნის თანახმად დაღესტნის ცხენოსნის რაზმის სამეურნეო ნაწილის საქმეთ მწარმოებელი ალექსანდრე კობალაძე.

დანიშნულ იქმნენ: აზნაური ივანე მგალობლიშვილი—გორის მაზრის პოლიციის მმართველობის სამსახურში და კავკასიის მთავარ-მართებლის ნებართვით, მიენდო გორის მაზრის მეჯვრისხევის განყოფილების პოლიციის ბოქაულის თანამდებობის აღსრულება.

მთავრის შვილი მიხეილ ისიდორეს ძე ჯიბლაძე—დუშეთის მაზრის საზოგის კანცელარიის მოხელედ.

# ახალი ამბავი

—

*** განჯის გუბერნატორს შეუტყობინებია კავკასიის მთავარ-მართებლისათვის, რომ ამ გუბერნიაში მრავლად გაჩნდა მინდვრის თაგვიო. მთავარ-მართებელმა მიმართა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საბჭოს და სთხოვა, რომ იღონეთ რაიმე საშუალება თაგვის წინააღმდეგაო.

*** პარასკევს, 18 აპრილს, ქართულს თეატრში ჩვენმა არტისტებმა გამართეს წარმოდგენა, რომელსაც კაი ძალი საზოგადოება დაესწრო, მეტადრე დიდ-კაცობა. ითამაშეს რ. ერისთავის ცნობილი პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და ვოდევილი „მოტია“. წარმოდგენის შემდეგ იყო დივერტისმენტი. წაიკითხეს ლექსები და ბოლოს ლეკური ითამაშეს. ლეკურის თამაშობამ აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება. ნაზად და მომხიბლავად თამაშობდა ჩვენი განთქმული მელეკურე არტისტი ქალი, ლ. ჩერქეზიშვილისა. ორივე პიესა მწყობრად და კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით მშვენიერნი იყვნენ თავიანთ როლებში ქ-ნი ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძე.

*** პარასკევს, 18 აპრილს, ინგლისის კლუბმა ტფილისში 31 წლის თავის არსებობის დღე იდღესასწაულა. დღესასწაულს სამოცამდე წევრი დაესწრო. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და ამა წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამის შემდეგ კლუბის საპატიო წევრად ერთ-ხმად იქმნა არჩეული კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავადი გრ. ს. გოლიცინი, რომელმაც ეს წოდება მიიღო. კლუბის მეურნეებად ხელ-ახლად არჩეულ იქმნენ: თავ. ი. გ. ამილახვარი, თ. ა. ბიკოვი, ი. ი. მალინინი, კ. ნ. რეიტერი, ი. ი. შადინოვი, ი. ნ. მილიუტინი და თავ. დ. ზ. მელიქიშვილი (ბ-ნ კესტერის მაგიერ); კანდიდატებად—თავ. ნ. რ. ერისთავი, ვ. ნ. მარტინოვი და მ. პ. გაკელი; კლუბის წევრებად—ბ. ს. შერემეტიევი და ა. ს. შერემეტიევი.

3 საათზედ სადილი გაიმართა, რომლის დროსაც მორიგე მამასახლისმა კ. ნ. რეიტერმა კლუბის უავგუსტოესისა და საპატიო წევრის მ. ი. უ. დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სადღეგრძელო დალია, რომელსაც ხანგრძლივი „ურას“ ძახილი მოჰყვა. დამსწრე საზოგადოების გულწრფელ სურვილის თანახმად მისს იმპერატორებითი უმაღლესობას დეპეშა გაეგზავნა პეტერბურგს. ამის შემდეგ მ. ი. უ. დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძის სადღეგრძელო დალიეს. ამ სადღეგრძელოსაც დიდის აღტაცებით მიეგება დამსწრე საზოგადოება და მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგს.

შემდეგ, საპატიო წევრის გენერალ-ადიუტანტის თავ. გრ. ს. გალიცინის სადღეგრძელო დალიეს, რომელმაც საპასუხო სადღეგრძელო დალია. ამის შემდეგ რიგ-რიგობით ადღეგრძელეს: თავ. სვიატოპოლკ-მირსკი, თავ. ამილახვარი, გენ.-ლეიტენანტი ფრეზე, პრინცი ნაპოლეონი, თავ. გ. დ. შერვაშიძე და სხ.

სადილის შემდეგ კრება დაიშალა. ზოგნი სახლში წავიდნენ, ხოლო ზოგნი, კლუბში მუდამ მოსიარულენი, იქვე დარჩნენ ვახშმად, რომელმაც ნაშუაღამემდე გასტანა.

*** ორშაბათს, 21 აპრილს, ქალაქის საბჭომ შემდეგი საგნები უნდა განიხილოს: მოხსენება გამგეობისა სამუდამო ყასაბხანის გამართვის შესახებ; მოხსენება ანჩისხატისა და მუხრანსკის ქუჩების გასწორების შესახებ ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში; წინადადება ტფილისის გუბერნატორისა ქალაქის იმ შუამდგომლობისა გამო, რომ რკინის გზის გამგეობაში ქალაქს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს; მოხსენება გუბერნიის ექიმის მიერ არუთინოვის დუქანში ღორთველიანის ღორების აღმოჩენის შესახებ; განცხადება ხმოსან რიდისა იმის შესახებ, რომ კვირაუქმე დღეობით ქალაქის თვით-მართველობის ყველა მოსამსახურეთ თავისუფლება ჰქონდეთ მინიჭებული; ქალაქის ყასაბხანის მსახურად ყოფილის ლევა ხუცურაულის თხოვნა იმის შესახებ, რომ იგი სამსახურიდგან უსამართლოდ არის დათხოვნილი და ხელ-ახლად იქმნას მიღებული; მოხსენება გამგეობისა ქალაქის სადგურის განათების შესახებ, მოხსენება ქალაქის მოურავისა გადამდებ სენიან ავადმყოფთათვის ფარდულების გამართვის შესახებ და სხვა.

*** რადგანაც ამ ბოლოს დროს რუსეთის მთელს იმპერიაში დიდი მოთხოვნილება არის ოსპისა, ამიტომ მეურნეობის სამინისტროს მოუწადინებია ამ მცენარის ყოველგან გავრცელება. უკვე გაუგზავნია სხვა-და-სხვა სამეურნეო დაწესებულებაში ხსენებულ მცენარის თესლი და, სხვათა შორის, „კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასაც“ მიუღია ხუთი ფუთი ოსპის თესლი, რათა უფასოდ დაურიგოს სოფლის მეურნეთ თესლთან ერთად სოფლის მეურნეთ. დაურიგდებათ მოკლე დარიგება ხსენებული მცენარის მოყვანა-მოშენების შესახებ. ოსპის ჩალას საქონელი ისევე ეტანებაო, როგორც თივას.

*** კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გადაუწყვეტია აპრილის უკანასკნელ რიცხვებში მოახდინოს სამეურნეო იარაღის გამოცდა ახალქალაქის მაზრაში, რათა მცხოვრებელთ შეეძლოთ თავისის თვალითა ნახონ და დარწმუნდნენ სამეურნეო იარაღის სიკეთე და ღირსება. ამიტომ ხსენებულის საზოგადოების საბჭოს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის, დახმარება აღმოგვიჩინეთ ამ საქმეშიო.

*** გუშინ, 19 აპრილს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებით განყოფილება კახეთს გაემგზავრა. ეს განყოფილება თელავს, სიღნაღსა და ზაქათალას 12 მაისამდე დარჩება და 40 სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს. განყოფილებაში არიან: თავმჯდომარედ სასამართლოს წევრი ი. ო. პარჩევსკი, წევრი ე. ვ. ჩემესოვი, ბრალმდებლის ამხანაგი დ. ე. ჩერნიკი და მდივანი ე. ი. ოვსიანიკოვი.

*** ტფილისიდგან სწერენ გაზ. „კასპის“, რომ ქალაქ გარეთ ექიმების თანადასწრებით მოხდა დუელიო. გაზომეს ოც-და-თხუთმეტი ნაბიჯი და მოპირდაპირეებმა ესროლეს ერთმანეთს რევოლვერი, მაგრამ ორივემ ააცდინეს. დაუკრეს ერთმანეთს თავი და გაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებშიო.

*** ჩვენ მოგვივიდა სახალხო წიგნაკი „სული ღვან მეფისა“, ისტორიული მოთხრობა, ალექსი მირიანაშვილის მიერ შედგენილი. წიგნაკი კარგ ქაღალდზე და ერთობ სუფთად არის დაბეჭდილი; შეიცავს 20 გვერდს და ფასობს ორი კაპეიკი. სამწუხაროდ წიგნაკში ერთობ ბევრი კორექტურული შეცდომაა.

*** 17 აპრილს, პოლიციის მეექვსე ნაწილში მოვიდა ბაქოს მცხოვრებლის ცოლი თუბა-ხანუმა-მაჰმად-ალი მირზა-ყიზი და განაცხადა, რომ ჩემის სადგომიდგან, რომელიც ვარანცოვის შესახვევში, მეხტი-ყული ისმაილოვის სახლშია, ჩემს იქ არ ყოფნის დროს, ჩემმა საყვარელმა სპარსეთის ქვეშევრდომმა მამად-ქიარიმ-ოღლიმ მოიპარა თავისი ბაშლოხი და ლედაკაცის სხვა-და-სხვა ტანსაცმელი, ღირებულობით სულ 150 მან. დამნაშავე შეპყრობილია.

*** 17 აპრილს პოლიციის მე-8 ნაწილში მივიდა სიმონ გრიგოლის ძე ბელოუსოვი და გამოაცხადა, რომ გუშინ ნასადილევს არ ვიყავი შინ, ამატუნის ქუჩაზედ, კარაბკოვის სახლში, ვიღაცას გაუტეხია ჩემის სადგომის კარებიცა და შიგ მყოფი ზანდუკიც და ფულად 50 მან. წაუღიათო. ეჭვი თევდორე ფილიპეს ძე კარაბკოვზედა მაქვსო. გამოძიება სწარმოებს და გამომძიებელს გარდაეცემა დამნაშავე, რომელიც შეპყრობილია.

*** 18 აპრილს, შუადღისას, მიხეილის ქუჩაზედ, მილოვის სახლში მცხოვრებელმა გურჯაანელმა გლეხმა ალექსანდრე არაქელოვმა გამოაცხადა, რომ ჩემს დაუკეტავ ოთახში შესულა ვიღაცა და ბალიშ ქვეშიდგან, როდესაც იქვე მეძინა, წაუღია ვერცხლის ქამარი, 90 მან. ღირებული, ჩოხა, 20 მან. ღირებული, ერთი წყვილი ჩექმა, 12 მან. ღირებული და 8 მან. ფულადო. ქურდს დაეძებენ.

*** 19 აპრილს, სადამოს 7 საათზედ, ტფილისელმა ივანე შიტუხინმა სიმთვრალის დროს იოსებ ბაზაშვილის ლუდხანაში, მეორე მალაკნის ქუჩაზედ, კალმის დანით დასჭრა ოზურგეთის მაზრის სოფ. საჩოხოს მცხოვრებელი გლეხი ილიკო ხუნცაძე მარჯვენა ბარძაყში. ხუნდაძე წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, საშიში არა სჭირსრა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ფშაველი** (თელავის მაზრა), 15 მარტი. ვგონებ, საინტერესო უნდა იყოს საზოგადოდ და კერძოდ ქართველის მკითხველისათვის ცნობები შესახებ ქართველის ხალხის რაოდენობისა, წერა-კითხვის ცოდნისა და სკოლის ნაყოფისა სოფლად.

ფშავლის საზოგადოებას შეადგენს ორი სოფელი: ფშაველი და ლალისყური.

ამ საზოგადოებაში სცხოვრობს:
მამრი . . 763.
დედრი . . 642.
ამათგან ს. ფშაველში:
მამრი . . 595.
მდედრი . . 528.
სოფელ ლალისყურში:
მამრი . . 105.
მდედრი . . 93.
მთიელი ქართველები:
მამრი . . 63.
მდედრი . . 21.
სულ 1,405.
წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი:
სოფელ ფშაველში სასწავლებლის წყალობით:
მამრი . . 52.
მდედრი . . 45.
შინაურულად:
მამრი . . 49.
მდედრი . . 91.
სოფელ ლალისყურში:
სასწავლებლის წყალობით:
მამრი . . 3.
მდედრი . . 3.
შინაურულად:
მამრი . . 6.
მდედრი . . 4.
ფშაველებში შინაურულად:
მამრი : . 23.
მდედრი . . 2.
მთელ საზოგადოებაში 278.

აქ სამი გარემოებაა აღსანიშნავი: პირველი, რომ სოფელ ფშაველში სასოფლო სამინისტრო ერთ-კლასიანი სასწავლებელი არსებობს; მეორე, სოფელი ლალისყური თუმცა ფშავლის საზოგადოებაა და ერთის ვერსის მანძილზედაც არ არის დაშორებული, მაგრამ მაინც სკოლის ახლოს სოფელს არ უდგება, რის გამოც სკოლით ვერა სარგებლობს; მესამე, რომ მთიელ ქართველებში სკოლა არ არსებობს და არცა არსებულა თითქმის. ესენი თავის-თავად ეტანებიან წერა-კითხვის ცოდნას. ხოლო დედა-კაცმა მთაში, როგორც აქაცა სჩანს, თითქმის სულ არ იცის წერა-კითხვა. ამისი მიზეზი ის არის, რომ ძველად მთაში ორივე სქესში წერა-კითხვა მცირედა ყოფილა გავრცელებული. მერე, როცა მამა-კაცი გამოვიდა მთიდამ, მიდგა-მოდგა, დაინახა, რომ წერა-კითხვა მალიან საჭირო ადამიანისათვის, მიეტანა და ხელი მოჰკიდა. დედა-კაცი, როგორც გარედ გაუსვლელი, გაცილებით ჩამორჩა მამა-კაცს წერა-კითხვის ცოდნის მხრივ. რაც სოფელ ფშაველში სკოლა არსებობს, მას აქედ 21 წელიწადია; ამ ხნის განმავლობაში, სულ მცირედი 15 ბავშვი რომ გვიანგარიშოთ წელიწადში, წერა-კითხვა უნდა სცოდნოდა 315 ადამიანს სკოლის შემწეობით. ეხლა-კი ასი ადამიანიც არ გამოდის, რომელთაც სკოლაში შეესწავლოთ წერა-კითხვა. ამისი მიზეზები, რასაკვირველია, ცოტა არ არის და ერთი უპირველესიც აწ არსებული სწავლის წესია ჩვენებურ პირველ დაწყებითს სკოლებში. იგი სამ გზით და მეტადაც აფერხებს წერა-კითხვის გავრცელებას, თორემ თამამად შეიძლება იმის თქმა, სკოლების არსებობის დღიდგან აქამომდე 50% უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე იმ სოფლებში, რომლებშიაც სკოლები არსებობს.

ფშაველიშვილი.

—

**ლანჩხუთი.** (გურია). 5—6 წელიწადია, რაც ლანჩხუთში ორ-კლასიანის სასწავლებლის შენობა ავაგეთ. მას აქეთ სწავლის მსურველთა რიცხვმა ერთი ორად იმატა და, რაღა თქმა უნდა, სასწავლებელი ახლა ყველას ვერ დაიტევს. მართალია, სასწავლებლის შენობის გარდა, ორს ადგილას კერძო კაცთაგანაც დაიქირავეს სახლები, მაგრამ ყველა მსურველს ვერც ეს აკმაყოფილებს. მასწავლებლები დიდს გაჭირვებაში არიან: რაკი ვერც სასწავლებლის შენობა და ამასთან ერთად ვერც კერძოდ ნაქირავები სახლები ყველა მოსწავლეს ერთსა და იმავე დროს ვერ იტევს, ამიტომ მასწავლებლებმა ორწყებად გაჰყვეს მოსწავლეები, პირველ წყებას ორ საათამდე ასწავლიან, ხოლო მეორეს საღამოს ექვს საათამდე. მასწავლებლების მიერ ასეთი დაუღალავი შრომის ატანა შეუძლებელია. ამისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ლანჩხუთელებმა არსებულ სასწავლებლის შენობას მოუმატონ და იმოდენა გაჰხადონ, რომ ყველა სწავლის მსურველს დააკმაყოფილებდეს.

ამასთანავე ჩვენის დაბისათვის არა ნაკლებ საჭიროებას შეადგენს საქალებო სასწავლებელი, რომელიც ამ ჟამად არა გვაქვს. დარწმუნებული ვართ, რომ თუ ვინმე ითავებს ამ საქმეს, ლანჩხუთელები დიდის სიამოვნებით მისცემენ მხარს, რადგან აქ ყველასა სწამს, რომ განათლება იმდენადვე არის ქალებისათვის საჭირო, რამდენადაც ვაჟებისათვის. სწორე მოგახსენოთ, არც გაგვიჭირდება ჩვენ ამ საქმის განხორციელება, რადგან ლანჩხუთში 600 კომლამდე გლეხკაცობაა და 200-მდე აზნაურობა და სასულიერო წოდებისანი.

კონტი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ნ. ნიკოლაძესი. უნდა მოვახსენოთ მკითხველთ, რომ ეს წერილი გამოწვეულია ამავე გაზეთში დაბეჭდილ წერილით, რომელიც თვით რედაქტორს ეკუთვნის. ამ წერილში, სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ ბ-ნს ნ. ნიკოლაძეს „არაოდეს არ აღუძრავს მტრობა სხვა-და-სხვა ტომთა შორისო“.

ეს მართალი არისო,— სწერს ეხლა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, მაგრამ ჩემის აზრით, ამ, ჩემ მიერ თქმულ სიტყვების მოყვანა საკმარისი არ არის საკამათო საგნის გამოსარკვევად და რადგანაც ეს სიტყვები მოიყვანეთ, მე იძულებულ ვარ ამავე საგნის შესახებ ჩემ მიერ თქმული სხვა სიტყვებიც მოვიყვანო, რომელიც უწინ დაიბეჭდა გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ში, თუმცა მწერალისათვის ვერაფრად სასიამოვნოა ერთხელ გამოთქმულ აზრისა და სიტყვების განმეორება, მაგრამ, რას იზამს კაცი, როდესაც არა თუ ჩვენს მკითხველებს, არამედ მწერლებსაც ისეთი მეხსიერება ჰქონიათ, რომ საჭიროება მოითხოვს იმის განმარტებას, თუ რა მიმართულებისა და ხასიათისა ყოფილა კაცის ოც-და-ხუთის წლის სალიტერატურო მოღვაწეობა.

შემდეგ ბ-ნ ნიკოლაძეს მოჰყავს გაზეთ „ნოვ. ობოზ.“-ში დაბეჭდილ თვისის წერილებიდგან საყურადღებო ადგილები და ბოლოს ამბობს:

დიაღ, მე ვურჩევდი და ეხლაც ვურჩევ ყველას, რომ არ აღძრან მტრობა იმ ტომთა შორის, რომლებიც სცხოვრობენ ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ, აშკარაა, რომ ამ რჩევა-დარიგების ასრულება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თითოეული ტომი პატივსა სცემს სხვა ტომსაც და არა სდილობს ხელი შეახოს სხვისს ღირსებასა და ქონებას. ხოლო როდესაც ძმებსა და, მეზობელთა შორის დავა ასტყდება

უველას, ვისაც-კი მათთვის მშვიდობიანი ცხოვრება და კეთილდღეობა სურს, ცალიერ რჩევას-კი აღარ აძლევს,—მშვიდობიანად იცხოვრეთო, არამედ ურჩევს ძმურად და სამართლიანად გაიყავით თქვენი ქონებაო. მას შემდეგ, როდესაც ერთი ძმა არ დაკმაყოფილდა დიდ ლუკმას და თვისს მონაწილეს არაფერი არგუნა (ასე მოიქცნენ 1893 წელს არჩევანების მოთავენი და განდევნეს იმ ბჭობით, რომელიც მოხდა „დვორცოვი ნომრებში“), მას შემდეგ, როდესაც მთელი სომხობა, როგორც ერთი კაცი გაჰყვა იმათ, ვინც ასე კადნიერად ჩამოართვა სხვას მისი უფლება, იმისი თქმა, რომ ქართველებმა თავი ანებონ შურსა და მტრობასაო —იმასა ნიშნავს, რომ წყენას კიდევ სასაცილოდ აგდება მიემატოს და თქვენ ამაოდ მაწყენთ, ვითომ მე ამ გვარ ქცევას თანავუგრძნობდე. საქმის ამ გვარ ვითარების დროს ვინც ურჩევს იმას, ვისი წმიდა უფლებანი შებღალულ იქმნა, ძმურად მოექეციო, ან ბრმა უნდა იყოს, ან სხვები უტვინოებად მიაჩნდეს; ორთავე ეს ერთგვარად არის სამრახიისი.

დასასრულ ბ-ნი ნ. ნიკოლაძე სწერს, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსნებად არჩეულ უნდა იქმნენ სხვა-დასხვა ტომთა წარმომადგენელნი მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით და ამის წინაალმდეგ მხოლოდ იმას შეუძლიან ხმის ამოღება, ვისაც სამართლიანობის გრძნობა-კი არ ალაპარაკებს, არამედ მხოლოდ ერთად-ერთი ანგარება და სურვილი სხვისის ქონების დასაკუთრებისა.

მე ვიციო,—ამბობს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე, რომ ამაზედ იტყვიან: „მცხოვრებთა რაოდენობა აქ რა შუაშია? უპირატესობა სახლის პატრონებს უნდა მიეცეთ. ჩვენ შედარებით უფრო მეტი სახლი გვაქვს, ვიდრე რუსებსა და ქართველებსაო!“ დროა ამ სულელობას თავი დავანებოთ. ტფილისში სახლები სომხებსა, რუსებს და ქართველებს-კი არ ეკუთვნის, არამედ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკს და ქალაქისავე საკრედიტო საზოგადოებას, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ამ ბანკების ობლიგაციების პატრონებს. სახლის პატრონები, იმ სახლებისაც, რომელიც დაგირავებული არ არის, მხოლოდ ხარჯსა ჰკრებენ მდგმურებისაგან და სწორედ ამათთვის არის საჭირო კეთილდღეობა, სწავლა-განათლება და ქალაქის განათება, გასუფთავება და ქალაქის გასუფთავებასა და მცხოვრებთა ჯანსაღობისათვის ზრუნვა.

---

## მეჯვრისხევის სამკითხველოს 1896 წლის ანგარიშიდგან.

წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსა 1896 წლის 31 იანვრიდგან პატივცემულმა კნ. ეკ. გ. ერისთავისამ. სამკითხველო იყო მოთავსებული თ. ი. ე. ერისთავის სასახლის ერთს ოთახში უფასოდ. იმის გამგეობას შეადგენდა გამგე ოთხის წევრით და მეწიგნთ-საცავეთი.

სახსარს წიგნთ-საცავ-სამკითხველოსას შეადგენდა წარმოდგენებიდგან ნაშოვნი ფული, ხოლერობიდგან დარჩენილი საზოგადო ფული, კერძოდ შემოწირული ფული და საწევრო გარდასახადი. 1896 წელს ამ საშუალებით შეიკრიბა 238 მან. 33 კაპ., დაიხარჯა 175 მ. 88 კაპ., ამათ გარდა ხოლერობიდგან და წარმოდგენის შემოსავალი კერძო კაცთა ხელში დარჩენილია 30 მან. ფული დაიხარჯა სამკითხველოს პირველ მოწყობისა, წიგნების და ზოგ ჟურნალ-გაზეთების გამოწერისა და სხვადა-სხვა საგნისათვის.

წიგნთ საცავ-სამკითხველომ დაიწყო თავისი არსებობა შემოწირულის ქართულის წიგნებით, რიცხვით 55 და ჟურნალის ნომრებით 46 ცალით. 1896 წლის განმავლობაში სამკითხველოს მოემატა 650 წიგნი და 155 ჟურნალის ნომერი, მათ შორის ქართული წიგნები 450, ჟურნალის ნომერი 65; რუსული წიგნები 200, ჟურნალის ნომერი 90; ამათში სამკითხველომ საკუთარის ხარჯით შეიძინა 73 ქართული წიგნი. აღნიშნულ წელს სამკითხველოს მოსდიოდა შემდეგი ჟურნალ-გაზეთები, ქართული: „მოამბე“, „ჯეჯილი“, „კვალი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და „მეურნე“. რუსული: „Кавказъ“, „Новое Обозрѣніе“, „Недѣля“ და „Вѣстникъ иностранной литературы“. ამათგან უფასოდ იყო დათმობილი „მოამბე“ კნ. ე. გ. ერისთავისაგან; გაზ. „ივერია“ და „Новое Обозрѣніе“ რედაქტორთაგან. დანარჩენი ჟურნალ-გაზეთობა წიგნთ-საცავის საფასით იყო გამოწერილი. საანგარიშო წელსა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ჰყავდა 127 მკითხველი; აქედგან კეთილ-შობილნი 57 სული: 31 კაცი, 26 ქალი; სასულიერონი 22 მკითხველი: 10 კაცი, 12 ქალი; მოსწავლენი 32: ვაჟი 23, ქალი 9; გლეხთაგან 16: კაცი 8, ქალი 8.

ყველაზედ მეტი უკითხავთ კეთილ-შობილთა, სახელდობრ, 371 წიგნი, 325 ჟურნალის ნომერი; შემდეგ სასულიერო წოდებისას—135 წიგნი, 110 ჟურნალის ნომერი; მოსწავლეებს—149 წიგნი, 39 ჟურნალ-ნომერი; გლეხსთ—40 წიგნი, 6 ჟურნალის ნომერი. ყველა წოდებას წაუკითხავს 705 ქართულ-რუსული წიგნი, 491 ჟურნალის ნომერი. თითოეულს კეთილ-შობილს საშუალოდ ამ წელს წაუკითხავს $5\frac{2}{3}$ წიგნი, 5 ჟურნ. ნომერი; სასულიეროთაგანს—6 წიგნი, $5\frac{1}{2}$ ჟურნ. ნომერი; მოსწავლეთაგანს—$4\frac{1}{2}$ წიგნი, 1 ჟურნალის ნომერი; გლეხთაგანს —$2\frac{2}{3}$ წიგნი. მთელის წლის განმავლობაში უკითხავს მხოლოდ ერთს კეთილ-შობილთაგანს და ერთს სასულიეროთაგანს. გლეხებს არ უკითხავთ მხოლოდ ღვინობისთვეში. მოსწავლეებს გიორგობისთვეში და ქრისტეშობისთვეში. მომეტებული წიგნები და ჟურნალები უკითხავთ მაისს-თიბათვეში, სახელდობრ: თვიურად 48 ცალი. დანარჩენს თვეებში 1—28 წიგნამდის. მკითხველთა შორის ზოგს წაუკითხავს მხოლოდ ერთი წიგნი, დანარჩენებს 2—40-მდის. წიგნები უკითხავთ იანვრიდგან თიბათვემდის პროგრესიული რიცხვით, შემდეგ-კი წაკითხულ წიგნების რაოდენობა თან-და-თან კლებულობს. წაკითხულ წიგნებთა შორის სიტყვა-კაზმული ლიტერატურისა არის 605, ისტორიული—60, სამეცნიერო—40 წიგნი, ხშირად უკითხავთ ბ-ნთ ჭავჭავაძისა, ყაზბეგისა, წერეთლისა, ნინოშვილის მოთხრობანი და როსტომაშვილის გამოცემანი. ნათარგმნთა შორის შმიდტის მოთხრობანი. ჟურნალთა შორის „მოამბე“ და „ჯეჯილი“.

აქ მოხსენებული ჟურნალის ნომრები იგულისხმება წიგნებად და არა გაზეთის ფურცლებად.

წიგნთ-საცავის გამგე: კნეინა ეკატერინე გიორგის ასული ერისთავისა

---

## წერილი თიანეთიდგან

ჩვენი ქვეყნის არც ერთი მაზრა არ არის სწავლა-განათლების მხრივ ისე დაქვეითებული და ჩამორჩენილი, როგორც თიანეთის მაზრა. მთელს მაზრას, სადაც ორმოც-ათასამდე მცხოვრებია, სულ ოთხი პირველ დაწყებითი ერთ-კლასიანი სასწავლებელი აქვს. სამი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაა: სოფ. თიანეთში, ბარისახოში და ამტნისხევში და ერთი სამინისტრო სასოფლო სკოლა ზემო ალვანში. ამ სკოლების გარდა, მაზრაში სამი სამრევლო სკოლაც არის ს. ახმეტასა, მატანსა და პანკისში. აი სულ ეს არის თიანეთის მაზრის ავლადიდება. რა ძნელი გამოსაცნობია, ან რა სალაპარაკოა, რომ ამ სკოლებს არ შეუძლიანთ მთელის მაზრის მკვიდრთა სწავლა-ცოდნის სურვილი დააკმაყოფილონ.

ეს არა სასიამოვნო მოვლენა იმითი არ აიხსნება, რასაკვირველია, რომ ვითომ ხალხში სწავლა-ცოდნის სურვილი არ იყოს, ან თიანეთის მაზრის მცხოვრებთ სრულიად არ ესმოდეს, მერე ეხლანდელს დროში, სწავლის დიდი მნიშვნელობა! ეს ასე რომ იყოს, მაშინ თიანეთის მაზრის მკვიდრნი ოჯახში, ცხვარში და სადაც-კი ხელი მიუწვდებათ, ასე ძლიერად აღარ მიეტანებოდნენ წერა-კითხვის სწავლას. დღეს ბარად-კი არა, თიანეთის მაზრის მთების მცხოვრებთა შორისაც-კი ხშირად შეჰხვდებით წერა-კითხვის მცოდნეთ, რომელნიც განუსაზღვრელის სიხარულით ეტანებიან დაბეჭდილს წიგნებს.

მაშ რა მიზეზიაო, მკითხავს მკითხველი. უპირველესი მიზეზი, რომელსაც ხშირად გაიგონებთ აქ, არის ხალხის ეკონომიური უნუგეშობა. ეს მიზეზი მართალიც არის, თუ სახეში მარტო მაზრის მთის მცხოვრებთ ვიყოლიებთ, მაგრამ ბარის მცხოვრებლების შესახებ-კი ამ მიზეზის დასახელება სწორედ რომ უალაგო და უსაბუთოა. ესევე არ ითქმის თუშების გამო და აკი მთელს მაზრაში თუშები სწავლა-განათლების მხრივ სხვებთან შედარებით მაღლაცა სდგანან.

ერთი სასოფლო სკოლა რომ ვერ აკმაყოფილებდა თუშებს, მეორე სკოლისათვის შენობა უკვე მოამზადეს და მომავალს სამოსწავლო წლიდგან სწავლაც დაიწყება, ასე რომ ალვანში ორი ერთ-კლასიანი პირველ დაწყებითი სკოლა იქნება: ერთი ზემო ალვანში და ერთიც ქვემო ალვანში. ამას გარდა შეძლებული თუშები, რომელთა რიცხვი არა მცირედია, თვისს შვილებს საშუალო და უმაღლესს სწავლასაც-კი აძლევენ. დღეს თუშების რიცხვის რაოდენობასთან შედარებით, ჯეროვანი რიცხვი მოეპოვებათ საშუალო და უმაღლესს სასწავლებლებში სწავლადამთავრებულთა. იქნება იფიქროთ, რომ თუშები სხვა მაზრის მცხოვრებთან შედარებით ძლიერ მაღლა დგანან ეკონომიურის მხრივ და, მაშასადამე, ზურგიც მოსდევთ თვის შვილებისათვის იზრუნონო? დიახ, ეს არც ტყუილი იქნება, მაგრამ ისიც კი მართალია, რომ მაზრის სხვა ბარის მცხოვრებნიც შეძლებით ბევრად არ ჩამოუვარდებიან თუშებს.

არა ერთი და ორი საზოგადოებაა ბარში, რომელსაც გაუჭირებლივ შეუძლიან ერთ და ორ კლასიანი სკოლა შეინახოს. კერძოობით ხომ შეძლებული ოჯახი არა იშვიათია, მომეტებულად ფშაველებს შორის, რომელსაც თამამად შეუძლიან თავის შვილს სწავლისთვის საჭირო ხარჯი მისცეს.

რა მხრივაც უნდა განვიხილოთ, ზემოხსენებულის მიზეზით ვერ ავხსნით თიანეთის მაზრის სწავლა-განათლებით ჩამორჩენას. ჩვენის აზრით ამ სამწუხარო მოვლენის უპირველესი მიზეზი ის არის, რომ სოფელს მრჩეველი, დამრიგებელი და საქმისათვის მოთავე არავინ გააჩნია.

თუშების დღე-მუდამ წარმატებისაკენ სვლა და განათლებისაკენ მისწრაფება განა იმითი არ აიხსნება, რომ მათ მრჩეველ-დამრიგებელნი საკმაოდ მოეპოვებათ? მათ შორის არა ერთს და ორს შეჰხვდებით სწავლა-ცოდნით აღჭურვილს იქვე, იმათთანვე მცხოვრებს. აი ეს შინ დაბრუნებულნი ნასწავლნი არიან მიზეზნი, რომ დღეს თუშები ცდილობენ მომავალი თაობა დროის და შესაფერად სწავლა-ცოდნით აღჭურვონ.

მაზრის სხვა ნაწილებში-კი სოფლის მრჩეველი, დამრიგებელი, გულშემატკივარი თუ არის ვინმე, ისევ მღვდელია, რადგან მხოლოდ იგია ერთად-ერთი განათლებით აღჭურვილი კაცი მთელს სოფელში. მაგრამ თიანეთის მაზრის სულიერნი მამანი?! ამათზე ლაპარაკი სრულიად უალაგოდ მიგვაჩნია, რადგან უთქმელადაც მათი ხალხის საკეთილდღეოდ მოქმედება ნათლად ატყვია ჩვენს სოფლებს...

ქ. დუშეთში დღეს არსებობს ორ-კლასიანი სასწავლებელი, რომელსაც დუშეთ-თიანეთის ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი ეწოდება. ეს სახელიც ნათლად ჰმოწმობს, რომ იგი სასწავლებელი დანიშნულია დუშეთისა და თიანეთის მაზრის მცხოვრებთათვის. ამ სასწავლებელთან არის პანსიონიც, სადაც სრულს სახელმწიფო ხარჯზედ ყოველ-წლივ თიანეთის მაზრის მკვიდრთ იღებენ, უფრო-კი მთის მცხოვრებთა შვილებს. ამ სასწავლებლის შენობა დღეს თურმე ისე დაძაბუნებულა, რომ სასწავლებლის იმ შენობაში დატოვება ტფილისის სახალხო სკოლების მთავრობას შეუძლებელად უცვნია და დუშეთისათვის ახალის შენობის მოპოვება დაუვალებია. დუშეთს შეუძლებლობის გამო უარი გამოუცხადებია, სასწავლებლისათვის ახალ შენობას ვერ ავაშენებო. ამის გამო ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებლების ინსპექტორმა ბ. პავლოვმა მიჰმართა თიანეთის მაზრის უფროსს და სთხოვა: გამოუცხადეთ თიანეთის საზოგადოებას ეს გარემოება და თუ საზოგადოება სასწავლებლის მოსათავსებელად შესაფერს შენობას ააშენებს, იგი სასწავლებელი დაუყონებლივ თიანეთში იქნება გადმოტანილიო.

ჯერ-ჯერობით არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა ბ-ნ პავლოვის თხოვნას, მაგრამ მისი ჯეროვნად დაგვირგვინება-კი აუცილებლად საჭიროა, რადგან ცხადია, რომ სასწავლებლის თიანეთში გადმოტანით დიდს შესაძენს შეიძენს თიანეთის მაზრა. იგი მარტო ს. თიანეთისათვის-კი არა, მთელის მაზრისათვის იქნება და სწორედ ამიტომ სასწავლებლისათვის შენობის აშენება მარტო მთელმა მაზრამ უნდა იკისროს. უეჭველად საჭიროა ეს გარემოება მიიღონ მხედველობაში და შენობის ასაშენებლად თიანეთს მთელი მაზრა მოაშველონ. ეს აუცილებელიც არის, რადგან, ს. თიანეთი შეძლებული სოფელი არ არის, დაუხმარებლად შენობის აშენებას ძნელად თუ გაჰბედავს და შეიძლება უარიც განაცხადოს.

უკანასკნელს გარემოებას ხომ ძლიერ უნდა უფრთხოდეთ, რადგან ასე თუ ისე ამ შემთხვევის დაკარგვა თიანეთის მაზრას, სამუდამოდ თუ არა, კარგა დიდის ხნობით შეძლებას მოუსპობს რიგიანი სასწავლებელი დააარსოს. მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ ყველა, ვისაც-კი ასე თუ ისე შეუძლიან ამ საქმეს დახმარება აღმოუჩინოს, ეცდება იმის სასურველად დაგვირგვინება და თიანეთის მაზრის სწავლა-განათლების მხრივ უზრუნველ-ყოფას.

ი—ბი.

---

## წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

6 აპრილი.

დღევანდელი დეპეშა იუწყება, რომ ელასონიაში ბერძნები პარასკევ ღამეს ჩუმად თასცემიან თავს ოსმალთა ბანაკს და საშინელი ბრძოლა ამტყდარა. ამის გამო სარდალი მაკედონიის ოსმალთა ჯარისა თხოულობს თავისს მთავრობისაგან ნებას ომისას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს ანებებს სამსახურს, რადგან ჯარისათვის თავი ველარ შემიმაგრებიაო. აქედგან მაშინათვე გაუგზავნეს დეპეშა, რომ გამაგრდითო და უკეთუ ბერძნები ოსმალეთის საზღვარს გადმოსცდნენ, უკუ აქციეთო. შაბათს დილით ოსმალთა ჯარი შეეტაკა ბერძნებს; ხელ-ჩართულმა ბძოლამ, როგორც ამტკიცებენ, რამდენსამე საათს გასტანა. თესალიის სირთი (თეფე), რომელიც ბერძნებს დაუჭერიათ პარასკევ ღამეს, ოსმალებმა უკან დაიბრუნეს. საზღვარზედ ომი მოხდა. ამბობენ, დიდძალი ჯარი გაწყდაო ორსავე მხარეს, სიმართლესკი ვერავინ გაიგებს, რადგან ყველა თავისს თავს იქებს, ყველა ამტკიცებს, რომ ათი ათასამდის ბერძენია მოკლული და თხუთმეტი ათასამდის ოსმალიო, მაგრამ ეს ტყუილი უნდა იყოს. ყველა დარწმუნებულია, რომ თუ ევროპა არ ჩაერია, ოსმალეთი ადვილად დასძლევსო, რადგან ოსმალეთს თესალიის საზღვრებზე დიდი ძალა აქვსო. აქ ოსმალოს 150,000 ჯარის-კაცი ჰყავს და ბერძნებს-კი სულ 50,000. იანინის მცხოვრებნი ოსმალი არნაუტები (ალბანელები) ეხვეწებიან მთავრობას, ნება მოგვეცით ვოლონტიორებად შევიდეთ და ბერძნებს თავს დავესხათ ისევე ქურდულად,

როგორც ისინი ჩვენ გვესხმიან თავსაო. ყველა გამხნევდა და გამამაცდა. 1885 წ. აქ 40 ათასი მარტინის თოფი დაურიგებია ოსმალეთის მთავრობას. ეს თოფები შეუნახავთ ყველას და ეხლა ეს 40 ათასი თოფ-იარაღი მზად არის. ერთი ამოდენა და მეტიც კიდევ მზადდება. მთავრობამ იმათი თხოვნა „ვოლონტიორებად“ ჩარიცხვის შესახებ არ შეიწყნარა. ილდიზ-კიოსკის საგანგებო რჩევამ გადასწყვიტა, ორასი ათასი ლირა (ლირა 8 მ. 60 კ.) კიდევ დაიხარჯოს სამხედრო საქმისათვისაო.

7 აპრილი.

დღევანდელი დეპეშა იუწყება, რომ ერთს ბერძნის სავაჭრო გემს ძალით მოუნდომებია სალონიკის მახლობლად ხალხის ხმელეთზედ გადაყვანა, მაგრამ ოსმალოებმა ზარბაზნები დაუშინეს თურმე და დაჰლუპეს. სამხედროდ გადადებული ორასი ათასი ლირა სულთანმა ჰამიდმა გამოიღო თავისის საკუთარის ხაზინიდგან. აქამდის სულთანს ერთი მილიონი ლირა დაუხარჯავს. ცოტა არ იყოს, ეს აშომმინებს ყველას. ოსმალთა ახალთაობა (ახალი დასი ოსმალებისა) ძლიერ მრავლდება. ეხლა ყველა მდიდარი ფაშა სცდილობს სულთანს მიჰბაძოს და ფულები შესწიროს საერთო საქმისათვის ახალგაზდა ოსმალთა დასს. მონარქისტებიც თანაუგრძნობენ და დღითი დღე მრავლდებიან. აქაურობა ჯერ წყნარად არის. დარიც კარგია.

იასე რაჭველი

## ნაწყვეტი

რაც შენ წახველ, სატრფოვ ჩემო,
გულს ობლობის ცრემლი სდისა,
დამარტოვდა სულიც მწუხრად,
ფერი მაძევს ცოცხალ-მკვდრისა;
ნუღარ მომკლავ შენს ლოდინში,
შევუპყრივარ ათასს ჭირსა:
სულიც, გულიც, ჭკვა-გონებაც, —
ყველა ერთად შენთვის სტირსა!

დ. მაჩხანელი

## შავი სიკვდილი

### ჭირი

(აღმოსავლეთის ლეგენდა)

ჩამოეშვა ციდგან მშვენიერი ფერია.

დაინახა ტურფა ჭაბუკი და შეუყვარდა. მოევლინა მას დილის ვარსკვლავსავით გაბრწყინვებული და მოჰხიბლა.

დასწყევლა ალლაჰმა ცის ცოდვილი არსება და განაძევა იგი ჯენათიდგან. სცხოვრობდა ქვეყნად მშვენიერი ფერია და თუმცა სამოთხეს მოაკლდა, მაგრამ მაინც ბედს არ ემდუროდა.

ადამიანნი მისნი მონანი შეიქმნენ და შარავანდედი სიყვარულისა თავს შემოავლეს.

გაიარა ხანმა. ფერიას მშვენიერება დაუჭკნა და ხალხმა ზურგი შეაქცია. იმედ-გაცრუებულმა ფერიამ ახლა-კი ინაღვლა, რომ სამოთხეში აღარ იყო, საიდგანაც ალლაჰმა განდევნა; გაიხსენა ის ნეტარნი წუთნი, რომელსაც სამოთხეში ატარებდა მარადის ნორჩ ქალწულთა შორის, და მისი გული აღივსო ბოროტითა და სიძულილით ადამიანთა მიმართ.

შეიქმნა რა უჩინო, მან დაიწყო შურის-ძიება ადამიანთაგან თავისის იმედის გაცრუებისათვის.

შავის ძაძით შეიმოსა, ხელთ შავი მათრახი აღაპყრა, დადის იგი ამ ჟამად დღე და ღამ დაბა-სოფელსა და ქალაქს გარშემო და არ ძალ-უძს შიგ შესვლა, თუ სხვას არ აედევნა ვისმე.

დაინახავს თუ ირა ვისმე, შეერთობა იმისს აჩრდილს, შედის ადამიანთა სამყოფელში და უწყალოდა ჰჟლეტს ყველას, ვისაც-კი თავისის შავის მათრახით მიეკარება.

სძულს განსაკუთრებით ახალგაზდანი მშვენიერის და ტურფა სახისანი.

ადამიანნი ძრწიან მის წინაშე, შავს სიკვდილს (ჭირს) უწოდებენ და იგრძნობენ თუ არა იმისს სიახლოვეს, შეშინებული გარბიან და აქეთ-იქით ირხევწებიან.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

რამდენია ქვეყნად ადამიანი, რომ უბედურებისა გამო ან თითი აქვს მოჭრილი, ან მთელი ხელი და ფეხი, ერთის სიტყვით რომელიმე ასო-სახსარი საავადმყოფოშივე დაჰკლებია ამა თუ იმ სენის გამო და ასე დასახიჩრებული რჩება. აი, ამათ საშველად ერთი ნიუიორკელი, გვარად მარკსი, აკეთებს თურმე ალიუმინის სახსრებს. მოსჭრიან თუ არა ავადმყოფს რომელსამე ასოსახსარს, მაშინვე ალებასტრიის ყალიბს იღებენ ამ დოსტაქრის მიერ მოშორებულ ასო-სახსრისას და ამ ყალიბზედ აკეთებენ ჯერ ხისასა და შემდეგ ალიუმინის ასოსახსარს. ამ სახით გაკეთებული ალებასტრი ძალიან წმინდა და სიფრიფანაა და გული ცალიერი აქვს. ამ ცალიერს გულში კაუჩუკს ასხამენ, რომ როდესაც სხვა სახსრები მოჰხვდება ამ ხელოვნებით გაკეთებულს სახსარს, იგი რბილი იყოს და სხეული არ ატკინოს ადამიანს, და ამ გვარად უკეთებენ ადამიანს ამოღებულ ასო სახსრის ნაცვლად. მარკსი ამბობს, იმის გარდა, რომ გასაოცრად სუბუქია ეს ლითონი—ალიუმინი, კიდევ ის ღირსებანი აქვს, რომ სინესტეს არ იკარებს, ოფლისა და სისხლისაგან ჟანგი არ ეკიდება და ვერც ჰაერი, ვერც სხვა-და-სხვა სიმჟავენი და სიცხე იმას ვერას აკლებსო, იმაზედ ვერა ჰმოქმედებსო.

***

სიარულის დროს რომ კაცი მალე არ დაიღალოს, შემდეგი ადვილი საშვალებაა თურმე. საჭიროა მხოლოდ კაცმა, ვიდრე დაიღლებოდეს, ღრმად ჩაისუნთქოს ჰაერი. თუმცა ეს საშვალება მეტად ადვილია, მაგრამ ვინც-კი გამოსცდის, ყველა დარწმუნდება, რომ უფრო მეტს მანძილს ისე გაივლის, რომ დაღლილობას სრულებით არ იგრძნობს.

***

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ნესტიანი სახლი მეტად მავნებელია ადამიანისათვის, მაგრამ ხშირად ძლიერ ძნელად შეიტყობს კაცი, რომ რომელიმე სახლი ნესტიანია და მხოლოდ მაშინ გაიგებს ამას, როდესაც ქარები ან სხვა რამ ავადმყოფობა გაუჩნდება ნესტისაგან. ნესტიან ოთახს ასე შეეტყობა: შუა ოთახში იატაკზედ დასდეთ $2^1/_2$ გირვანქა დამწვარი კირი და მერე კარ-ფანჯარა ისე მაგრად დაჰკეტეთ, რომ ოთახში ჰაერი არ შევიდეს. 24 საათის შემდეგ კირი ასწონეთ და თუ ორ მისხალზედ მეტი გამოვიდა წონაში, ოთახი უეჭველად ნესტიანი ყოფილა და საცხოვრებლად არ ვარგებულა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 აპრილი

**პეტერბურგი.** დღეს ცარსკოე სელოში წაბრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი მთავრინა ოლგა ნიკოლოზის ასული.

**ათინა.** თითქმის ოფიციალურად არის აღიარებული მინისტრთა ქვემორე ნუსხა: რალი—მინისტრ-პრეზიდენტი და ზღვათა მინისტრი, ზამადოხი—სამხედრო მინისტრი, სემიპულოსი—ფინანსთა მინისტრი, კარაპანოსი—საერო განათლების მინისტრი, ტეოტაკი—შინაგან საქმეთა მინისტრი.

**ათინა.** პალატაში 40 დეპუტატი გამოცხადდა, რის გამოც კრება არ შესდგა. ქუჩებში მრავალი მანიფესტანტები დადიან და აღტაცებით გაიძახიან: ,,გაუმარჯოს ადმირალ კანარისს‘‘-ო. არც პალატაში და არც პალატის გარეშე არავითარი საყურადღებო ინციდენტი არა მომხდარა. რალის იმედი ჰქონდა, საღამოს რვა საათზედ მეფისათვის მინისტრთა დამთავრებული ნუსხა წარედგინა.

**ათინა** ოსმალეთის ლაშქარმა გუშინ იერიში მიიტანა ბერძნების ბანაკზედ ფარსალოსთან.

19 აპრილი

**ვარშავა.** 19 აპრილს ავსტრიის იმპერატორმა ერც-ჰერცოგ ოტტონითი და ამალითურთ გაიარა ვარშავაზედ და ვენას მიბრძანდება.

**ათინა.** ახალი სამინისტრო შედგენილია: რალლი—მინისტრ-პრეზიდენტია და ზღვათა მინისტრი, თეოტოკლისი—შინაგან საქმეთა მინისტრი, სკულუდისი—გარეშე საქმეთა მინისტრი, ენტაქსიასი—საერო განათლებისა, ტრიანტაფილიკოსი—სასჯულო საქმეთა, სიმოპულოსი—ფინანსთა და ჰოლკოვნიკი გამოდოსი სამხედრო მინისტრად. მინისტრებმა ფიცი უნდა დასდონ.

**ლონდონი.** ,,Standard‘‘-ს ათინიდგან დეპეშა მოუვიდა, რომ ოსმალეთის ჯარმა (ანუ მისმა მოწინავე ნაწილმა) იერიში მიიტანა ფარსალოსთან საბერძნეთის ჯარზედაო.

**ბერლინი.** „იმპერატრიცა ავგუსტა“-ს გემი კრიტის წყლებიდგან ფალერს წავიდა.

**ვენა.** „Corr. Bureau“-ს აუწყებენ პეტერბურგიდგან: „გრაფთ მურავიოვმა და გოლუხოვსკიმ ერთის შინაარსის ნოტები გაუგზავნეს რუსეთისა და ავსტრი-უნგრეთის წარმომადგენელთ ბელგრადსა, სოფიასა, ბუქარესტსა და ცეტინიეს. ნოტაში ნათქვამია, რომ რუსეთისა დ ავსტრიის იმპერატორებს შორის აზრთა გაზიარების დროს ორივე ხელმწიფეთ შემთხვევა მიეცათ სიამოვნებით აღენიშნათ სამართლიანი მოქმედება სერბიისა, ბოლგარიისა, რუმინიისა და ჩერნოგორიისა ევროპის ოსმალეთისათვის ამ ახლად დამდგარს ხანაშიო. ასე მოქმედება ამ სახელმწიფოთა მით უფრო შეეხამება ორივე სახელმწიფოს სურვილს, რომ იმათ მტკიცეთ აქვთ გადაწყვეტილი არ შეარყიონ საერთო მშვიდობიანობა და არ შესცვალონ აწინდელი წეს-რიგი და ,,statu guo“.

**ლონდონი.** როდესაც ოსმალები ლარისაში შევიდნენ, დაუზიანებლად იპოვეს ყველა 14 სანტიმეტრიანი ზარბაზნები, რომლითაც ციხე იყო შეიარაღებული; იქვე ჰნახეს აგრეთვე დიდ-ძალი თოფ-იარაღი. ვერაფრით ვერ აუხსნიათ ის ამბავი, რომ ბერძნებმა ასეთი მაგარი სალაშქრო ადგილი დასტოვეს. ოსმალებმა ლარისაში სამოქალაქო გუბერნატორი დაჰნიშნეს. ძარცვა-აკლება აღკრძალულია და ამის მომქმედთათვის დიდად სასტიკი სასჯელია დანიშნული. ბერძენთ მკვიდრთ იწვევენ, უკანვე დაბრუნდითო. ხმა დადის, რომ ქალაქი ვოლოც დაუცლიათ ბერძნებს. ყოველს შემთხვევაში, ლარისში ყოველს წამს მოელიან, რომ ოსმალები ვოლოსაც დაიპყრობენო.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ი. ღ—ურს**: თქვენი „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

**ლასსანძეს**: თქვენს „ნაწყვეტში“, ლექსს ვინა სჩივის, აზრიც არ არის.

**ს. ბ—ა. ნ. ფ—შვილს**: ლექსი ,,უცხო ქვეყანას‘‘ არ დაიბეჭდება.

**ანსს. ქ—**: „საკვირაო-კრიმანჭული“ არ დაიბეჭდება.

**ს. სო—ლოვს**: თქვენი წერილი გორიდგან არ დაიბეჭდება, ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს აცნობეთ ეგ ამბავი და იგი გაუძღვება მაგ საქმეს.

**ივ. კ—თელს**: თქვენს ნაწერში «არც ახალია, არც ძველია», ე. ი. სულ არა არის-რა.

**სოფ. ჩ—ი. ნ. შ—ძეს**: თქვენი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

**ქიზიყელებს**: თქვენს სურვილს, რომ ზოგიერთი «ივერიის» წერილები ცალკე წიგნად გამოეცითო, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ ავასრულებთ.

**სად. გ—მი. ნ. დ. ნ—ძეს**: თქვენის წერილისა ვერა გავიგეთ-რა.

**ქ—ვი. ვ. წ—ლს**: სწავლა-განათლების შესახებ ძალიან ხშირად იბეჭდება ჩვენს გაზეთში და რაღა განმეორება უნდა. რაც შეეხება ამერიკულის ვაზის მოშენებას, ამ საქმეს შორაპნის მაზრაში უკვე მიჰყვეს ხელი გლეხ-კაცობამაცა და თავად-აზნაურობამაც, ხოლო შავის ქვის მუშაობა-კი ამ ჟამად შეჩერებულია.

**ქ. ბ—ში. ოზ—ლს**: თქვენი წერილი დაგვიანებულია, ვინაიდგან ეგ საგანი დიდი ხანია მანდ გამოირკვა კიდეც.

**ქ. ს—მი. ვ. ა. რ—ძეს**: თქვენი პოემა „შეშლილი დედა“ და ლექსი „სადღეგრძელო“ არ დაიბეჭდება, რადგან იგი მარტო გალექსილი პროზაა.

**ი—ნა ბ—შვილს**: თქვენი ლექსი „მდინარეს“ თვით მდინარეს მიეცით, იგი უკეთ დააფასებს მაგ ლექსის პოეზიას.

**ა. ვ, ს—ნელს**: კარგი ხელი გქონიათ და ლამაზადა სწერთ, ლექსი-კი ვერაფერია და ვერ დავბეჭდავთ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ თავადს კონსტანტინე ივანეს ძეს ბაგრატიონ-მუხრანსკის, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს შემოქმედის შტატის წმ. გიორგის ეკკლესიას შემოსწირა მშვენიერის ღირსების ზარი ზედ წარწერით, წონით შვიდ ფუთ ნახევარი.

შემოქმედის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი ანტონ გალოგრე.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ოთხის წლისთვის 1897—1901 წ. ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები 1897 წლის 18 მაისს იქნება. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოაცხადებს, კრება რომელ ადგილას შესდგება და რომელ საათზედ დაიწყება. 18 აპრილიდგან 2-ს მაისამდე (ამ დღის ჩათვლით) ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველდღე, კვირა-უქმეს გარდა, სანამ მუშაობა არ შეწყდება, ამომრჩეველთ შეუძლიან წარმოადგინონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა. ამასთანავე ამომრჩეველთ 18 მაისის კრებაზედ დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებს კენჭი უყარონ. ამავე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის სახელობაზედ მიიღება წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმოსნობის სურვილს თითონვე განაცხადებენ და ყუთს დაიდგამენ. ამომრჩეველს, თუ ჰსურს, შეუძლიან ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდგან ამოწერილი 24—33 მუხ., დაბეჭდილი დარიგება არჩევანების წეს-რიგის შესახებ და ბლანკები, რომელშიაც უნდა აღნიშნონ მათ მიერ სახმოსნოდ დასახელებული კანდიდატები. თითოეულ ამომრჩეველის მიერ სახმოსნოდ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 96 არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმეს ამ რიცხვზედ მეტი კანდიდატი დაუსახელებია, დათვლის დროს კანდიდატებად დასახელებულად ჩაითვლებიან მხოლოდ თავში მოხსენებული 96 კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზედ, შესწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადასწრებით გაიღება და ეს უკანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმოსნობისთვის კენჭი უნდა იყარონ, დ ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყვანს რამდენი ხმით არის დასახელებული თითოეული კანდიდატთაგანი. კანდიდატი, რომელიც ხუთ ამომრჩეველთა ნაკლებისაგან იქმნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონვე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდგით და კენჭი მიყარეთო.

რწმუნების ქაღალდი შეიძლება მიეცეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 შენიშ. და 25—27 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევანებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თავისს გაუყრელს შვილს მისცეს რწმუნების ქაღალდი.

2) თუ რომელიმე ამომრჩეველი კრებას ვერ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თავის მაგიერ კრებაზედ დასწრების უფლებას მეორე ამომრჩეველს ვერ გარდასცემს და ამიტომ ამ გვარი რწმუნების ქაღალდის გაცემა არ შეიძლება.

Дозволено цензурою, Тифлисъ 19 го Апрѣля 1897 г.
სტამბა ქ. მარძიძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ოლია ჭავჭავაძე.